# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ულდერივი სტრიქონი რვაკაპეიკი.

1877—1891 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1891



## კედლის ქართული კალენდარი

(იხილე მეოთხე გვერდი გაზეთისა)

(3—2)

---

სამკურნალო ს. ბ. თოფურიასი გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის და მუდმივის საწოლებით ქ. ქუთაისში.

ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ათის საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე. შინაგანისა და საყმაწვილო სენით ავადმყოფებს არჩენს ს. ბ. თოფურია. ხირურგიულისა, ვენერიულისა და სიფილისის სენით ავადმყოფებს—ს. ბ. ვოინო. საბებიო და ქალის ავადმყოფობით ავადმყოფებს—ექიმი ქალი მ. ფ. კალანი. თვალებით ავადმყოფებს მიიღებენ დილის თერთმეტის საათიდამ ნაშუადღევის ორ საათამდე.

სამკურნალოსთან იქმნება გამართული კაბინეთი ავადმყოფთა დასაზელად (მასაჟისათვის) ექიმების ხელ-მძღვანელობით და კაბინეთი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულს ნახვაზედ ათი შაურია. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმთაგან, ეღირება სამი მანეთი. შარდის თვისებათა გამოკვლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოძიება ნახველისა—ორი მანეთი. დაზელვისა (მასაჟის), აგრეთვე საავათმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი გარიგებით იქმნება. გადამდების ავადმყოფობით სნეულებს საავათმყოფოში დასაწოლად არ მიიღებენ.

გარედგან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ პირველ ნოემბრამდე ბოკერიას სახლში, ბულვრის პირდაპირ, და მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო იქმნება ბალახვანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში, ხოლო პრველ ნოემბერიდან გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ სტეფანოვის სახლში და მუდმივ საწოლიანი სამკურნალო იქმნება თოფურიას საკუთარს სახლში, გაგარინის ქუჩის შესახვევში, სომხების ეკკლესიის მახლობლად.

სამკურნალოს დირექტორი—ს ბ. თოფურია

(10—4)


## ახალი ამბავი

---

*** იბეჭდება და მომავალს კვირას გამოვა შემდეგი ახალი წიგნები: ქიმია, პროფესორის როსკოსი, თარგმნილი ქართულად ბ-ნ რცხილაძის მიერ; ბნელო, მოთხრობა მელანიასი; ჩ საქართველოს კალენდარი სურათებით, შედგენილი ბ-ნ ვ. გუნიას მიერ.

*** პარასკევს, 25 ოქტომბერს, ტფილისის საარტისტო საზოგადოების სათეატრო დარბაზში დანიშნულია კონცერტი ჩვენის თანამემამულე მომღერალის ქალის მ. გ. ძნელაძისა ბ-ნ კოლჩინის მონაწილეობით. მ. გ. ძნელაძისა, როგორც შევიტყვეთ, ამ კონცერტში, სხვათა-შორის, რამდენსამე ქართულს ხმასაც იმღერებს. რაღა თქმა უნდა, რომ ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება ამ პირველს კონცერტს, პირველის ქართველის მომღერალის ქალის მიერ გამართულს. ასეთი თანაგრძნობა თავდები იქნება იმისი, რომ შემდეგში რიცხვი ქართველ მომღერალთა და მუსიკის მცოდნე ქალთა, თუ კაცთა, ერთი ორად და სამად იმატებს და შესაძლებელია მალე იმასაც ვეღირსოთ, რომ ევროპიული მუსიკა ჩვენც გვატკბობდეს და გვასიამოვნებდეს.

*** შემდეგი წარმოდგენა ქართულის დრამატიულის დასისა დანიშნულია საოთხშაბათოდ. უნდა წარმოადგინონ ოსტროვსკის პიესა „ღარიბი სასძლო“, ბ-ნ ნ. ავალიშვილის მიერ გადმოქართულებული.

*** ჩვენ გვწერენ, რომ 17 ოქტომბერს, როცა მატარებელი ბაქოდამ სოუხ-ბულახის სადგურს უახლოვდებოდა, რკინის გზის ვაგონში იპოვნეს ჟანდრებმა ერთი სპარსელი, რომელსაც მალვით ორი ფუთი ჩაი მოჰქონდა. სპარსელი, რაკი დარწმუნდა, რომ ჩემი საქმე ცუდად არისო, ფანჯრიდამ გადახტა და თავს უშველა. სადგურიდამ ჟანდარმი უკან დაედევნა საქონლის მატარებლით, მაგრამ იმ სპარსელისა ვეღარა გაიგო-რა.

*** ბათუმი: ბათუმის საბჭომ გადასწყვიტა, თავისი საკუთარი შენობა ააგოს საქალაქო სასწავლებლისათვის. ადგილი შენობის ასაგებად აარჩია ტაძრის ახლოს. დღემდე სკოლა მოთავსებულია დაქირავებულს სახლში, რომელიც არც შესაფერად არის მოწყობილი და ძვირადაც ღირს.

*** ჯუმათი: 17 ოქტომბერს ჯუმათის სადგურზე სადგურის თანაშემწეს ბ-ნ გ. კ—შვილს ესროლა რევოლვერი სამჯერ ვიღაც ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებელმა. ბ-ნი გ. კ—ლი მძიმედ არის დაჭრილი, მაგრამ შესაძლოა, რომ სიკვდილს გადარჩეს.

*** ჩვენ მივიღეთ ანნა ბუთხუზისაგან 2 მანათი ა. ლ. ყაზბეგის სასარგებლოდ. ამ ფულისა აქამდე გვქონდა 60 მანათი. ამიანად შესდგა 62 მანათი.

*** ტფილისის გუბერნატორი აცხადებს გაზეთს „Кавказъ“-ში, რომ სავალდებულო წესების მეექვსე მუხლი მეფურნეებისა და ხაბაზების შესახებ ასე უნდა შეიცვალოსო: აკრძალულია ჯდომა ანუ წოლა ისეთს ალაგას, საცა პური ინახება; თვით დაზგები და ჰურჭელი, სადაც ცომი აწყვია, ან იზილება, აგრეთვე ჰურჭელი პურის წყლისა ჯეროვანის სისუფთავით უნდა იყოს შენახული.

ამას გარდა, ორი ახალი მუხლია კიდევ დამატებული: მეშვიდე და მერვე. მუხლი 7: აეკრძალებათ მეფურნე-ხაბაზებს, ანუ მათ მოჯამაგირეებს ცხოვრება იქ, სადაც ცომი იზილება, ფქვილი იცრება და პური ისყიდება.

მუხლი 8: საცა მეფურნე-ხაბაზები ანუ მათი მოჯამაგირენი სცხოვრობენ, აეკრძალულია, რომ იქ იცხოვრონ იმათაც, რომელთაც რაიმე მოარული ავადმყოფობა სჭირთ.

---

## სახელდახელო

(ცბად-ასალები—წყალ-წასაღები ამბავი)

დრონი იცვალნენო, ტყუილად-კი არ ამბობენ თავის ქნევითა და მწუხარე სახით ჩვენნი მოხუცებულნი. მართლაც, რომ იცვალნენ და, მარტო იცვალნენ-კი არა, სრულიად გადასხვაფერდნენ, თავი ბოლოს ადგილას მოექცა, ბოლო თავის ადგილას, წაღმა უკუღმად და უკუღმა წაღმად დაბრუნდა და დატრიალდა.

დროთა ცვალებადობასა და სხვაფერადობას უფრო ნათლად და აშკარად ჩვენის საბჭოს ხმოსანთა ორ ორშაბათის კრება-არჩევანზედ დაინახავით. ამ ორს ორშაბათს საბჭოს ლორდ-მერის ნაცვალი უნდა ამოერჩია გამგეობის წევრთა შორის. პირველს ორშაბათს კენჭი იყარა პ. ა. იზმაილოვმა მარტომ, რადგან ორმა მისმა ამხანაგმა უარი სთქვა და გზიდგან ჩამოეცალნენ, იმ იზმაილოვმა, რომელიც ოდესღაც ანი და ჵოე იყო ჩვენის თვით-მმართველობისა, რომელმაც თვით ლორდ-მერის თანამდებობაზედაც ორჯელ იყარა კენჭი და ფონს ვერ გავიდა, ერთმა შავმა კენჭმა ზედ წვრილსა და წმინდა ადგილას მოასწრო და იქ გაუწყვიტა წყალზედ გასასვლელად გაბმული ბორნის ღვედი. უყარეს კენჭი, დათვალეს და... კვლავ დარწმუნდნენ, რომ დრონი იცვალნენ,

ის დრონი, დრონი, ნაქებნი მტკბარად,
წარვიდნენ, განქრნენ სიზმარებრ ჩქარად.

დათვალეს და აღმოჩნდა, რომ თეთრმა კენჭმა თუ ითვრამეტა, შავმა იოცა და ეს ამბავი ყველამ გაიოცა: უწინდელს ერთს შავს კენჭს

---

## ფელეტონი

---

### რამე-რუმე და სხვათა შორის

(წერილი მესამე)

ძმაო მიხეილ!

*„Свѣта, больше свѣта!“*
*Гёте.*

აი სწორედ ის სინათლე გვაკლია ჩვენც, რომელსაც გიოტე სიკვდილის წინად ნატრულობდა; ეს სინათლე ისეთი სინათლეა, რომ უიმისოდ არა შეუძლიან-რა იმ ერსაც-კი, რომელიც რიცხვით, რაოდენობით, დიდად გამრავლებულია. უიმისოდ ყოველი ერი, იქნება ჯანით, ღონით ძლიერიც, მუდამ სუსტია, ვიდრე ამ სინათლით არ შეიმოსება და წინ არ გაიძღვარებს; მეორეს მხრით ეს სინათლე იმისთანა ძალაა, რომ სუსტსაც-კი აძლიერებს, დაცემულს ერს ფეხზედ აყენებს და რაოდენობით დიდს ერს უმხარდამხარებს...

ეს სინათლე საზოგადოდ გვაკლია ჩვენ, მაგრამ უმეტესად შევამჩნევთ, ვიგრძნობთ ამ ნაკლს, თუ ყურადღება მივაქციეთ ჩვენის ქალების მდგომარეობას, თუ მამაკაცთათვის მცირე რამ მაინც გაგვიკეთებია სწავლა-განათლების საქმეში, დედაკაცთა სასარგებლოდ ამ მხრივ ჯერ თითქმის არავითარს საფუძვლიანს ზრუნვას არ შევსდგომივართ. დედათა განათლება-კი იმდენად მნიშვნელოვანია და, მაშასადამე, საზრუნავიც, რამდენადაც მამაკაცთა განათლება. ვიტყვი მეტსაც: თვით მამაკაცთა არსებობა და წარმატება ერთის ნაწილით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გონებრივ წარმატებულია და ზნეობრივ განვითარებული დედაკაცი. არას დროს არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ მხოლოდ დედაკაცს შეუძლიან აამაღლოს საზოგადოებური ზნეობა, მისცეს ერს სიწმინდე და ღირსება. „მოგვეცით უკეთესი დედები და ჩვენც უკეთესი კაცები ვიქმნებითო“, ამბობდა ერთი მეცნიერი კაცი. თვით სკოლა და ოჯახი, სადაც იზრდება მოზარდი თაობა, სადაც იწვრთნება იგი გონებითა და ზნეობით, დამყარებული არ იქმნება მტკიცე საფუძველზედ, თუ ქალი მოკლებული იქმნება სწავლა-განათლებას და შესაფერს აღზრდას. ოჯახსა და სკოლის წარმატებას მტკიცე კავშირი აქვს ერთმანეთს შორის. თუ ოჯახი ხელს უწყობს სკოლას, სკოლაც წარმატებაშია, კეთილად მოქმედობს მოსწავლეზედ; ხოლო სკოლის ზედმოქმედება მოსწავლეზედ ძლიერ სუსტია მაშინ, როცა ოჯახი ხელს არ უწყობს. ხელის შეწყობა კიდევ ასე უნდა: დედამ ოჯახშივე კარგი ხასიათი უნდა ჩაუნერგოს ყმაწვილს და განუმტკიცოს თანდათან, კარგად აღზარდოს, პირველ-დაწყებითი ცოდნა მისცეს და ჰასაკის შესაფერად განავითაროს გონებით. ეს ზრუნვა დედამ ბავშვს სკოლაში ყოფნის დროსაც არ უნდა მოაკლოს. როცა ასე მოეწყობა საქმე, მხოლოდ მაშინ სკოლაში აღზრდა-სწავლას შეუძლიან დიდი სარგებლობა. გარნა დედამ რომ ხელი შეუწყოს, გაუძღვეს ბავშვს და რიგიანი სწავლა-აღზრდა მისცეს, თვითონაც რიგიანად აღზრდილ-განათლებული უნდა იყოს. მაშასადამე, არა თუ თვით დედათა საკეთილდღეოდ არის საჭირო, რომ კარგად აღზრდილნი და განათლებულნი იყვნენ, არამედ მთლად მოზარდის თაობისათვისაც, ე. ი. როგორც ვაჟებისა, ისე ქალების საკეთილდღეოდაც. ოჯახს შესანიშნავი მეცნიერნი და ბრძენნი კაცნი ჰხადიან სახელმწიფოისა და საზოგადოებურის წეს-წყობილების საფუძვლად და ამიტომ ქალისათვის, როგორც ოჯახის უმთავრეს წარმომადგენლისათვის, როგორც დედის ჲ აღმზრდელისათვის, აუცილებლად თხოულობენ განათლებას, საფუძვლიანს გონებრივს განვითარებას. ქალის ასეთი წარმატება და განვითარება უმთავრესად დამყარებული უნდა იყოს ბუნების მეტყველებისა, მათემათიკისა, ისტორიისა და ლიტერატურის ცოდნაზედ.—ამასაც არა კმარობენ მეცნიერნი, საფუძვლიანს განათლებასთან ერთად საჭიროაო ისიც, რომ ქალი იჩენდეს ყმაწვილების სიყვარულს, ადამიანურად ექცეოდეს, გულშემატკივრობდეს და სხვ. ერთის სიტყვით, დიდს ყურადღებას აქცევენ ქალის ზნეობრივს განვითარებას, რადგანაც დარწმუნებულნი არიან, რომ თუ ქალი აღჭურვილია ცოდნითა და სწავლით და ზნეობრივადაც წარმატებულია, მაშინ მისს მოქმედებას დიდის ნაყოფის გამოღება შეუძლიან. თუ რა მნიშვნელობა აქვს დედაკაცს საზოგადოებრივს წარმატებაში, ეს ნათლად სჩანს იქიდგანაც, რომ ევროპაში ზოგიერთი მეცნიერი მთელ კაცობრიობის განახლებას დედაკაცის მეოხებით ჰგონებს. როდის-ღა შეიგნებს ჩვენი საზოგადოება, რომ ჩვენთვის საჭიროა განათლებული დედა, რომელსაც თვითონ შეეძლოს, აღზარდოს თავისი შვილები ეხლანდელ დროსა და ვითარების მიხედვით? შევისმენთ თუ არა ოდესმე, რომ დედაკაცის განათლებასთან დაკავშირებულია არსებობა ზნე-მაღალის ოჯახისა და მაშასადამე ზნე-მაღალი ყოფა მთელის ერისაც? როდის ვაგონებთ ჩვენს თავს იმ უცილობელს და დაურღვეველს ჭეშმარიტებას, რომ უტოლ-უსწორობა გონებრივ და ზნეობრივ ქალ-ვაჟთა შორის და არა სხვა რაიმე, არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ცოლ-ქმრობა ხშირად უბედურებაა და არა ბედნიერება, რომ ოჯახი ყოველ სიკეთეს მოკლებულია და მუდამ დაწიოკებული, რომ ქალი ქმარ-შვილს მხარს ვერ აძლევს არსებობისათვის ბრძოლაში, რადგანაც ძალუმს იარაღს ბრძოლისას ე. ი. განათლებას მოკლებულია, რომ ქალს არ ძალ-უძს, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებურს ცხოვრებაში და სხ.? ვგონებ, განმარტება არ ეჭირვება იმ მარტივს აზრს, რომ თუ საჭიროა განათლება და არსებობს კიდეც ამისათვის განმანათლებელი დაწესებლულებანი მამაკაცთათვის, ამ გვარივე უფლება აქვთ ქალებსაც, დედაკაცთაც, რომელთა რიცხვი, თუ მეტი არა, ნა-

ებლარტნა. ლორდ-მერობას ეჭიდებოდა კაცი, წინ ერთი წიწლაკიანი კენჭი გადაელობა, მოერიდა ამას, დაუთმო, ერთს საფეხურს ქვემოდ ჩამოვიდა, ახლა ლორდ-მერის თანაშემწეობა ისურვა და... აქაც გზაზედ ორი შავი კენჭი გადაუდგა!... ბევრის მდომელს ცოტაც არ ეღირსანო, ქართული ანდაზა ამბობს, და არც იზმაილოვს ეღირსა გარდაცვალმა დრომ.

არ ეღირსა-კი, მაგრამ, აშკარაა, ის ბრჯგუ ასო, რომელიც ანბანის თავში იყო მოქცეული მთელის საუკუნეს მეხუთედს და მკლავი ბოლომდისა ჰქონდა მიწვდილი, ასე ადვილად ვერ დასთმობდა თავისს რბილსა და თბილს, საფუფუნებელს ალაგს, და არც დასთმო. სეტყვას ქვა დახვდა, დაჟინიანებულს „არ გვინდიხარს“ — ერთი-ორად დაჟინიანებულივე „უეჭველად უნდა ამომირჩიოთო“, ამოსარჩევი ხავსს მოეჭიდა—და ხავსის მეტი-კი რა მოიძებნება ჩვენს საბჭოგამგეობაში—და ნაპირს მიატანა.

მეორე ორშაბათს კვლავ დაიდგ ყუთი ბ-ნმა იზმაილოვმა გამგეობის სხვა ორ წევრთან ერთად და თითქოს ამოირჩიეს კიდეც. კრებაზედ სულ 48 ხმოსანმა მოიყარა თავი. იზმაილოვს ერგო 23 თეთრი და— საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო!—4 შავი კენჭი, ა. ა. ივანენკოს—22 თეთრი და 23 შავი, ე. ე. ხოსროევს—5 თეთრი და 40 შავი. მოკლედ რომ მოვჭრათ, სულ 48 ხმოსანი იყო, პირველის კანდიდატის არჩევანში 27 (?) მიიღო მონაწილეობა, მეორესა და მესამეშიკი—45 ხმოსანმა. სამმა ხმოსანმა ხმა სულ ჩაიჩუმა და ჩაიკმინდა მეორე კანდიდატების არჩევანის დროს, დასაწყისში-კი ბ-ნ იზმაილოვის არჩევანს 21 ხმოსანმა არც „ჰო“ უთხრა და არც „არა“.

რასაკვირველია, ასეთი უცნაური „ჰო-არა“ უფრო „არასა“ მჭევრმეტყველებს და ჩემს მტერსა და დუშმანსაც ნუ ჰღირსებია ასეთი პირშავი და უკუღმართი გათეთრება, მაგრამ, მაინც-კი, ეს „არას“ ხმოსანნი ამ „არას“ მეტს სხვა არაფრის ღირსნი არ არიან!.. ამ „ჰო-არაობის“ დომხალში-კი ბ-ნი იზმაილოვი, ვიმეორებთ, თ ი თ ქ მ ი ს ფონს გავიდა, დიაღ, მხოლოდ თ ი თ ქ მ ი ს, რადგან ცვალებადია წუთი-სოფელი და ამ ცვალებადობამ, ვინ იცის, სად გამოსდოს ბ-ნს იზმაილოვს იმერული კვანტი. ჯერ მაშინვე ერთმა ხმოსანმა განაცხადა, რომ ეგ არჩევანი კანონიერი არ არის, რადგან კრებაზედ 48 ხმოსანი იყო, და ნახევარზე მეტი მაინც უნდა მიეღო კანდიდატს, ე. ი. 25 არა ნაკლებიო. ეხლა კიდევ გაზეთები ამბობენ, რომ „ჩვენის აზრით, უკანასკნელს არჩევანს საგუბერნიო საქალაქო საქმეთათვის დაარსებული დაწესებულება გააუქმებს. მეტად თვალ-ნათლად დაირღვა კანონი და ამიტომ ეჭვი არა გვაქვს, რომ საქმე ასე დაბოლოვდებაო“. ერთი ამისთანა კვანტიც და, ხავსი თავს ველარ შეიმაგრებს და აჟინიანებულს კანდიდატს აზვირთებული ტალღა ისევ დროთა ცვალებადობის ზღვაში ჩაათრევს...

ალბად ძალიან გემრიელი ყოფილა ქალაქის მმართველობად წოდებული ერბო-კვერც გადასმული ქადა-ნაზუქი, რომ ასე ორივ ხელით ებოტინება ბ-ნი იზმაილოვი. მაგრამ მახლას, დროთა ცვალებადობას სად წაუვა, დრო ხომ ისეთი ძლიერი მეომარია, რომ ყოველს კერპს დაამსხვრევს და ძირს დასცემს, რაც უნდა ძლიერი იყოს იგი. ეჭვი არ არის, ფონს ვერ გავა ბ-ნი იზმაილოვი და ნუგეშის მეტი სხვა აღარა დარჩენიარა, რადგან, აშკარაა, დრონი იცვალნენ და იცვალნენ სწორედ საუკუღმართოდ ბ-ნ იზმაილოვისათვის. რა ეთქმის იმ სამდურავის მეტი, რომ „ეჰ, დრონი მეფობენო“ და

ვაჰ, სოფელო, რა შიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,
ყოვლიმც შენი მონდობილი
ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა;
სად წარიყვან სადაურსა,
სათ აღუფხვრი სადით ძირსა!...

მახლას!..

დუშიკო

## ვგონებთ, კეთილი რჩევაა!..

(მცირე შენიშვნა)

აგერ ოთხი წელიწადია, რაც ს. სკრის ხიდი ჩაიშალა; ჩაიშალა და მიანება ყველამაც თავი. მისვლა-მოსვლა გორს ზემოდამ მტკვარს გაღმა-გამოღმა სოფლელებმა დაიწყეს ბორნებით. ბორნები გამართულია ორს ალაგას: ბებნისთან, ქარელის გასწვრივ, და ურბნისთან სკრის გასწვრივ. გასვლა-გამოსვლა ერთის კაცისა ბორანზე ღირს შაური, გატან-გამოტანა ურმისა ორი აბაზი. რადგანაც ნიადაგ გამსვლელ-გამომსვლელს გლეხ-კაცებს, ახლო სოფლელებს, არა აქვთ სახსარი, ყოველთვის იხადონ ფული, ურიგდებიან მებორნეს ქინახულზედ, პურზედ. წელიწადში აძლევენ ნახევარ კოდიდან დაწყებული ერთ კოდამდე. ვიანგარიშოთ ახლა, რამდენი წაუვიდოდათ ახლო-მახლო სოფლელს გლეხებს ბორნებზე სიარულში ამ ოთხს წელიწადში, რაც სკრის ხიდი გაუქმდა. ჩავაგდოთ ორთა შუა რიცხვით ექვსი ჩანახი კომლზე. ურბნისში სცხოვრობს 100 კომლამდე, სკრაში—200 კომლამდე. მაშ წელიწადში დაეხარჯებათ—1800 ჩანახი, ოთხში—7200 ჩანახი. მეორე ბორანზე დაიარება: რუისი (500 კ.), ქარელი (300) კ., ბებნისი (80 კ.) სულ სამსავე სოფელში იქნება 880 კომლი. ერთის წლით გაუვათ 5280 ჩ., ოთხს წელიწადში 21120 ჩან. ორივე ბორანზე მოსიარულეთ ოთხს წელიწადში დაეხარჯებათ 28,320 ჩანახი, ანუ 3540 კოდი. სამი მანათადაც რომ ჩავაგდოთ კოდი პური, შესდგება 10,620 მანათი. რა ფულია!!. ნუთუ ამ ფულით არ აშენდებოდა აქამდე ერთი კარგი ხიდი?! შეიძლებოდა შუა ადგილი არჩეულიყო ბებნისსა და ურბნისს შორის და იქ გამართულიყო ხიდი. სხვა სოფლებიც შეეწეოდნენ, მაგრამ მაგარი გულგრილობაა ქართველის კაცისა!.. „აუტკივარი თავი რათ ავიტკივოო, იტყვის, მეტადრე ამ „მაჭრობაში.“ ეს გარემოება თვალნათლად გვიმტკიცებს ისეთის კაცების უყოლობას პროვინციებში, რომელნიც ჰფიქრობდნენ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობას და მწარე ცხოვრების გატკბილებას. იმედია, ჩემი ლაპარაკი ყბედობაში არ ჩამომერთვა. იქება იფიქრონ რამე იმ საქმის მცოდნეებმაც!.. ნეტავი!.. ღმერთსაც უქნია და ავხდენია ის კეთილი სიზმარი, რომ უშიშრად გავდიოდ-გამოვდიოდეთ ახალს მტკვრის ხიდზე.

მამის-იმედი

## ბიბლიოგრაფია

(ისტორიული მიმოხილვა) დ. ბაქრაძისა, **ქართველი ქალები** გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ფასი 10 კაპ.

ამ ოც-და-ათის წლის განმავლობაში ჟურნალ-გაზეთმა ჩვენში ფეხი მოიკიდა, რამდენმამე სული კიდეც დალია, ხოლო იმათ მაგიერად ახალ-ახალი გამოდიოდა სამწერლო სარბიელზე; საზოგადოების თვალ-წინ რამდენმამე თაობამ ჩაიარა და თვითოეულმა მათგანმა თავისი წვლილი შეჰმატა სალაროს მწერლობისას, ხოლო ისტორია ამ თაობათა მოღვაწეობისა, სხვა-და-სხვა აზრთა ტრიალი, ზრდა და მატება დღემდე ბნელით არის მოცული; საშუალებას მოკლებულნი ვართ, შევიტყოთ იმ აზრთა ტრიალისა, ზრდისა და მატების ისტორია და იმ მოღვაწეთა თავგადასავალი. არა გვაქვს შეკრებილი სხვა-და-სხვა მწერლის ნაწერი, ზოგჯერ არც-კი ვიცით, ვის რა უწერია და რომელს გაზეთსა, თუ ჟურნალში. თვით ეს გაზეთები და ჟურნალებიც-კი ძნელი საშოვარია, ასე რომ, გულიც რომ გერჩოდეთ, ბევრს ვერას გახდებით. ამიტომაც ცხადად არა გვაქვს გამორკვეული და წარმოდგენილი ღონე, თუ ულონობა, ჩვენის მწერლობისა, არა გვაქვს გაზომილი მისი სიღრმე-სიგანე; იმავე მიზეზით დაბეჯითებით არ შეგვიძლიან ვსთქვათ, საერთოდ მწერლობამ და კერძოდ რომელმამე მისმა მდინარეობამ რა გავლენა იქონია ჩვენს ყოფა-ცხოვრებაზედ.

მართალია, ჩვენი ახალი მწერლობა ჯერ ნორჩია, ახლად წვერ შემომდინარია, მაგრამ, დარწმუნებულნი ვართ, შესაძლო რომ იყოს ამ ოც-და-ათის წლის მწერლობას ერთიანად თვალი გადავავლოთ და მისი გზა-კვალი თავიდგან ბოლომდე ისტორიულად შევისწავლოთ, ბევრს რასმე საგულისხმოს აღმოვაჩენდით: შევიტყობდით, რომ ჩვენს ნორჩს მწერლობას ზოგი საგულისხმო საგანი საკმაოდ გამორკვეული აქვს; სახელდობრ, სხვა საგანთა შორის, სამშობლო ენის მნიშვნელობა სკოლასა თუ ცხოვრებაში იმდენად გამორკვეული უნდა იყოს, რომ, რაც თქმულა იმის შესახებ, იმაზე მეტის თქმა, ვგონებთ, საჭიროც არ არის, ხოლო, ვიმეორებთ, საშუალებას მოკლებულნი ვართ, მთელს მწერლობას, სათავიდგან მოკიდებული, თვალი გადავავლოთ და მისი გზა-კვალი გავარჩიოთ. მაგალითად, ბევრმა დაბეჯითებით დღესაც არ იცის, საერთოდ ჩვენი ახალი მწერლობა რა თვალით უცქერის დედაკაცის დანიშნულებას, მოვალეობას და სხვ. არ იცის, რა დროს რა აზრი წარმოთქმულა მწერლობაში. ამიტომაც, როცა რომელიმე ნაწერი, თუნდაც ქალის შესახები, შემთხვევით ჩაგვივარდება ხოლმე ხელში, მზადა ვართ ერთის მწერლის აზრი, ერთი შეშლილი ნახტომი რომლისამე მოღვაწისა, მთელს მწერლობას თავზე მოვახვიოთ.

განა დღემდე ბევრმა იცოდა, რა თვალით უყურებდა განსვენებული დ. ბაქრაძე საერთოდ ქალისა და საკუთრივ ქართველის დედა-კაცის დანიშნულებას, მოვალეობას? დიაღ, ბევრმა არა იცოდა-რა ამის შესახებ, და ამიტომ სასიამოვნო ამბად მივიჩნიეთ განსვენებულის პაწია წერილის ცალკე წიგნაკად დაბეჭდვა. მით უფრო საინტერესოა ჩვენთვის ეს ნაწერი დ. ბაქრაძისა, რომ 1860-ს წელსაა დაწერილი, ესე იგი, ისეთს დროს, როცა ჩვენი საზოგადოება ღრმა ძილში იყო გართული, როცა საქართველოში ლუარსაბ-დარეჯანებისაგან ტევა აღარ იყო.

ნაწერი განსვენებულის მწერალისა

---

კლები არ არის მამაკაცთა რიცხვზე. ჩვენს დროს ველარ შეეფერებიან დედაკაცნი, აღზრდილნი ბატონ-ყმობის წესითა და რიგით. ამ ნაირ დედაკაცთ მოსჭამეს თავიანთი დრო. ეხლა, როდესაც ჩვენი ცხოვრება და მისი ვითარება ასე შესამჩნევად იცვალა, საჭიროა სხვა დედანი სხვა ცოლნი, სხვა დანი...

აბა, ვიკითხოთ ეხლა, ძმაო, რა გვიზრუნია აქამომდე დედათა სწავლისა და განათლებისათვის? სრულიად არაფერი, თუ არ მივიღეთ მხედველობაში ის მომავალი, ჯერ-ჯერობით მხოლოდ განზრახული სასწავლებელი, რომლის დაარსებისათვის დღესაც ისევ ისე იკრიბება ფული. აბა თუ დღემდე ერთი საშუალო სასწავლებელი განსაკუთრებით ქალებისათვის დაგვიფუძნებია ჩვენის თაოსნობით? ან მიგვიღია რაიმე მონაწილეობა სხვისის წყალობით დაარსებულს დედათა სასწავლებლებში?

ქალების განათლების საჭიროებას ჩვენში ჯერ კიდევ ბევრი ეჭვით უცქერის. არა ერთხელ გაიგონებ ჩვენს საზოგადოებაში ამ გვარს ლაპარაკს: „ქალს განათლება არ ეჭირვება, სწავლა-მეცნიერება მხოლოდ ბუნებას შეუცვლის, თავისს პირდაპირს დანიშნულებას დაავიწყებს, დედობას ველარ გააწევინებს; მაინც-და-მაინც წერა-კითხვა იცოდეს და ესეც სრულიად საკმარისია მისთვისაო“. ის-კი ავიწყდებათ დალოცვილებს, რომ თუ ზოგიერთი ქალი ვერ ასრულებს ამ მოვალეობას იმიტომ-კი არა, რომ მისი სწავლა იყოს ამის მიზეზი, არამედ იმიტომ, რომ ურიგო სწავლა-აღზრდა მიუღია. აქ თვით განათლება არაფერს შუაშია, სრულიად არაფერშია დამნაშავე. აქ ცუდი ნაყოფი ცუდად საქმის წაძღოლის შედეგია. განა უზნეო და ყოვლად გამოუდეგარნი ნასწავლს ყმაწვილებში-კი ცოტაა? მაგრამ რატომ იმათ შესახებ არ ვამბობთ, რომ სწავლა არის იმათის უარარაობის მიზეზიო. მათი უზნეობა და გამოუდეგრობა მათივე აღმზრდელების ე. ი. ბშობლების და მასწავლებლების ბრალია და არა განათლებისა და მეცნიერებისა. მხოლოდ გაუგებრობას განათლების უმთავრესის აზრისას, რომელიც არის ზნეობრივი წარმატება ერისა, შეუძლია გამოიწვიოს ის საყვედური მეცნიერების მიმართ, რომელიც ისე ხშირად ისმის ჩვენში. უმთავრესი და მაშასადამე უმაღლესი აზრი განათლებისა, გარდა ჭკუა-გონების განათლებისა და განმტკიცებისა, ზნეობრივი განვითარება, ადამიანურ გრძნობათა გაჩენა, მაღალ, ჰუმანურ იდეალების შეგნება და ცხოვრებაში ამ იდეალთა განხორციელება ქვეყნისათვის გულ-წრფელის, გულ-მხურვალე და გამუდმებულის სამსახურის შემწეობით. ინგლისის ძალა უმთავრესად ის არის, რომ ყოველი განათლებული ინგლისელი, რა მოხელეც უნდა იყოს და სადაც უნდა იყოს, თავისს თავს მოვალედ ჰრაცხს შეძლებისა დაგვარად ემსახუროს თავის ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივს ინტერესებს.

ჩვენში-კი მრავალი მშობელი და დედ-მამა ეტანება შვილების განათლებას მხოლოდ მისთვის, რომ სხვა-და-სხვა „უფლებას“ ანიჭებს და არა იმიტომ, რომ განათლება განათლებისათვისვეა საჭირო. ჩვენში პირველობის ადგილი უჭირავს იმ მოღვაწეობას, რომელიც მიმართულია მხოლოდ მოღვაწის კერძო ინტერესების დასაკმაყოფილებლად. პირველი და საპატიო ადგილი ეძლევა იმათ, ვისაც შესძლებია, თავის თავისათვის უზრუნველი ყოფა შეუქნია და მაღალი რამ ადგილი მაგრად დაუჭერია. აი, ჩვენდა სამწუხაროდ, როგორ ეყურებათ ჩვენში განათლების დიდი აზრი და მნიშვნელობა.

რასაკვირველია, მრავალია ჩვენში დღეს ისეთიც, რომელიც არ უარჰყოფს დედათა სწავლა-განათლების საზოგადოებურს მნიშვნელობას და შეგნებული აქვს მისი მოთხოვნილება; მაგრამ იცით, როგორ აკმაყოფილებს იგი ამ მოთხოვნილებას? ქალაქებში მცხოვრებნი მკვიდრნი თავიანთს ქალებს გიმნაზიებში აძლევენ; ხოლო იქ ჯერ ერთი, ჩვენთვის სასურველის პროგრამით არ სწარმოებს სწავლა და მეორე ის, რომ გიმნაზიები ძნელად ხელ-მისაწვდომია თითქმის ყველა დაბა-სოფლის მცხოვრებთათვის—ძლიერ იშვიათი ამბავია, რომ სოფელში ანუ დაბაში მცხოვრებმა მკვიდრმა მისცეს თავისი ქალი ქალაქის გიმნაზიაში. ამ გვარი ამბავი-კი, სხვა მიზეზებს გარდა, უმთავრესად აიხსნება იმით, რომ მიუხედავად ზემოდ თქმულისა, მშობელნი იმდენს მნიშვნელობას არ აძლევენ ქალების განათლებას, რამდენსაც ვაჟებისას და ამიტომ დიდად არც თავს იტკივებენ მათთვის. ქალების უმაღლესს სწავლა-განათლებას ხომ ნულარ იკითხავთ. ეს მათთვის თითქო სრულიად არ არსებობს. აბა დამისახელე ერთი ქალი მაინც, რომელიც უმაღლესს კურსებზედ სწავლობდეს... მხოლოდ უმაღლესს განათლებას შეუძლია აამაღლოს ქალი გონებით და ზნეობით და გადააქციოს ქვეყნისათვის სასარგებლო ადამიანად.

ამასობაში რამდენჯერ თქმულა თუ საზოგადოებაში, თუ ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში, რომ ქალების განათლება ყოვლად საჭიროა ჩვენთვისაო. დიაღ, ჯერ ჩვენი მოწინავე დასი მხოლოდ ჰლაღადებს, ჰქადაგებს და სიტყვის საქმედ გარდაქცევას არ დაეძებს. მშვენიერს სურვილს, მაღალაზროვანს ლაღადებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვიდრე ეს სურვილი სურვილად რჩება; ერი აფასებს მხოლოდ საქმეს, მხოლოდ მოქმედებას და მით ზომავს კაცთა ღირსებას. ვინ ამბობს, კარგი სიტყვა, ქადაგება და იდეიებიც კარგია, მაგრამ ერთი ათად უფრო კარგია და სასარგებლო, როდესაც სიტყვა საქმედ განხორციელდება, როდესაც სიტყვის შესაფერს საქმესაც ვხედავთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ვამბობთ ხოლმე, თქმულმა სიტყვამ თავისი ნაყოფი მოიტანა და, მაშასადამე, ფუჭად არ ჩაიარაო.

შენი ძმა გრიგოლ

ქ. მოსკოვი

ისტორიულია, მაგრამ ადგილ-ადგილ პუბლიცისტური ხასიათიცა აქვს; თავისი აზრი ისტორიულის საბუთებითა აქვს დამოწმებული. ისტორიული ნაწილი ნაწერისა უყურადღებოდ დავტოვოთ და მხოლოდ ავტორის აზრი გამოვარკვიოთ. დ. ბაქრაძის აზრით, ძველი ქართველი ქალი მამაკაცივით ფრთა-გაშლილი და თავისუფალი ყოფილა, ცხრა-კლიტულში არა მჯდარა, ყველა საქმეში, საშინაოსა თუ საგარეოში მამა-კაცს მხარში თურმე უდგა; წილი ედვა ოჯახობასა თუ ომში, საერო თუ საღვთისმეტყველო მწერლობასა და პოლიტიკაშიაც, ქრისტიანობის გავრცელებაშიც; ერთის სიტყვით, დედა-კაციც იქ იყო, საცა მამა-კაცს ხელი უწვდებოდა. ავტორი ქებითა და აღტაცებით იხსენიებს ძველს ქართველს დედაკაცს იმიტომ, რომ იგი არა კმარობდა ოჯახობასა და სამღთო წერილის კითხვასა და

„სტკბებოდა ჩვენს ენაზე დაწერილის, ანუ სხვა ენით გადმოღებულის საერო თხზულებებით; კითხულობდა უფრო განთქმულს რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანს“, რომელიც უმშვენიერებდა სიტყვიერებას და განუწმედდა აზრს და ზნეობითს გემოვნებას; მრავალთ იცოდენ ზეპირად; კითხულობდა საბერძნეთის ფილოსოფოსთა მშობლიურს ენაზე“ და სხვა-და-სხვა.

ყოველსავე ამას ავტორი ძველის ქართველ დედაკაცის შესახებ ამბობს; ახალს-კი გაკვრით იხსენიებს, ხოლო მაინც აშკარადა სჩანს, რასაც სდებდა ვალად:

„როგორადაც კაცი, ისე ქალი თითქმის ისეთნივე არიან საქართველოში, როგორიც ყოფილან (საბუთი და უფლება გვაქვს ავტორს ამაზე არ დავეთანხმოთ): ისევ ის სისხლი მომდინარეობს ქართველ დედათა სქესის ძარღვებში და ისევ ის თვისებანი შეადგენენ იმისს ხისიათს... სასურველია, რომ ჩვენი ქალები უფრო და უფრო შეეჩვიენენ კითხვასა და წერას; კითხვა-წერა ადამიანს გონებას გაუხსნის და გონების გახსნა დააყენებს ჭეშმარიტს გზაზედა“. ავტორი, არც ამას სჯერდება და სიამოვნებით იხსენიებს იმ თანამედროვე ქალებს, მათ შორის ბ. ჯორჯაძისასას, რომელნიც მწერლობაში მონაწილეობას იღებდნენ. მართალია, ავტორი არაფერს ამბობს მასზე, საჭიროა, თუ არა, დედაკაცისათვის უმაღლესი სწავლა-განათლება, მაგრამ ამაზე ლაპარაკი 1860 წელს მეტი იქნებოდა, რადგანაც პირველ-დასაწყისს სწავლასაც მოკლებულნი ვიყავით, ხოლო მაინც აშკარაა, რომ დ. ბაქრაძის აზრით, საცა მამაკაცს ხელი მიუწვდება, დედაკაციც იქ არის, ესე იგი, მამაკაცი და დედაკაცი ბუნებით თანასწორნი არიან და სხვ.

საინტერესოდ მარტო იმიტომ-კი არ მიგვაჩნია განსვენებულის ნაწერი, რომ შიგ ეგეთი ნათელი და წმინდა აზრია გატარებული, არამედ იმიტომაც, რომ ეგ აზრი მას შემდეგ, რაც ბაქრაძის წერილი პირველად „ცისკარში“ დაიბეჭდა, მთელს ჩვენს მწერლობას საძირკვლად და სახელმძღვანელოდ აქვს. გაიხსენეთ სხვა-და-სხვა ნაწერი დედაკაცის შესახებ და ნახავთ, რომ აზრიც იგივეა და რომ თვითოეული ავტორი ქებით და პატივისცემით იხსენიებს ძველს ქართველს დედაკაცს და წარსულის ცხოვრებიდგან ამოკრეფილის მაგალითებით ამტკიცებს, რომ ქართველი დედაკაციც ადამიანია და შინ, თუ გარედ, მამაკაცივით შეუძლია შრომა და მოღვაწეობა. მართალია, ზოგს მწერალს ნახტომი შეშლია და სულ სხა აზრი წარმოუთქვამს ხოლმე, მაგრამ ამას დიდს მნიშვნელობას არ ვაძლევთ, რადგანაც საქმე მწერლობის მთავარს მდინარეობასთან, იმის დედაძარძვთანა გვაქვს.

იქნება ვინმემ სთქვას, რომ ისტორიის ნაამბობი ძველის ქართველის დედაკაცის შესახებ კრიტიკისაგან შემოწმებული არ არის და ამიტომ, რასაც მწერლობა ამბობს, უსაბუთო არისო. იქნება მართალაც ზოგმა ესა სთქვას, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ის-კი არ არის, მართალს მოგვითხრობს ისტორია, თუ არა, არამედ ისა, თუ რა აზრია დამკვიდრებელი და ტრიალებს მწერლობაში, ქართველი დედა-კაცი როგორი უნდა ყოფილიყო და როგორი უნდა იყოს.

დასასრულ ბ-ნ ზ. ჭიჭინაძეს მადლობა უნდა ვუძღვნათ დ. ბაქრაძის ნაწერის ცალკე წიგნად დაბეჭდვისათვის, ხოლო უნდა შევნიშნოთ, რომ შიგ ბევრი კორექტურული შეცდომაა და ნიშნებიც არეულ-დარეულია.

ჯიბერტი

## წვრილი ამბავი

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში ამ ჟამად ერთი დეპუტატია, გვარად ბიურდო. ამ კაცის შრომა, ხასიათი და თვით ცხოვრებაც ფრიად საგულისხმიერო და სამაგალითოა. ამ გავლენიანმა და მთელის პარიჟის საყვარელმა დეპუტატმა მხოლოდ თავისის ნიჭით და შრომის მოყვარეობით მიაღწია ამ თანამდებობას. ბიურდო უბრალო ფეიქრის შვილია და თითონაც 13—14 წლამდე საფეიქრო ქარხანაში მუშაობდა ქ. ლიონში. პატარა ბიურდომ მაშინვე მიიქცია თავის მამის და ზოგიერთ იმის ამხანაგის ყურადღება თავისის ნიჭით და მხნეობით. რამდენისამე კეთილის კაცის წყალობით მამამ პატარა ბიურდო ლიონის კოლეჯში მისცა სასწავლებლად. ბიურდომ მშვენიერად დაამთავრა სწავლა ამ სასწავლებელში და თითქმის პირველ მოსწავლედ იქმნა მიღებული „Ecole normale“-ს უმაღლესს სასწავლებელში, თუმცა იქ ძლიერ ძნელია შესვლა მსურველთა სიმრავლის გამო, რადგანაც ეს თითქმის უპირველესი ადგილი უჭირავს საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებელთა შორის. ბიურდომ მშვენიერად დაიჭირა სასწავლებელში შესასვლელი გეზამენი და სტუდენტად მიღებულ იქმნა. ეს იყო 1870 წ. სწორედ ამ დროს საფრანგეთსა და პრუსიას შუა ასტყდა ომი. მთელი „Ecole normale“-ს სტუდენტობა ჯარში წავიდა. ერთს ბრძოლაში პრუსიელებმა ბიურდო დასჭრეს და ტყვედ წაიყვანეს. ჯერ ისევ ჭრილობით ავადმყოფი ბიურდო გამოიქცა საფრანგეთში და ხელ-ახლად დაიწყო სამშობლოს მტრებთან ბრძოლა. საზოგადოდ ამ სასწავლებლის სტუდენტობამ თავი ისახელა სამშობლოს მტრებთან გმირულის ბრძოლით და, როცა ომი გათავდა, ტიერმა ორი „საპატიო ლეგიონის“ ჯვარი გაუგზავნა ამ სასწავლებლის სტუდენტებს და თითონ იმათ მიანდო, ეს ჯვრები იმათთვის მიეცათ, ვისაც თითონ სცნობდნენ ღირსეულად. ერთი ჯვარი ამხანაგებმა ერთხმად ბიურდოს არგუნეს. ბიურდო მაშინ მხოლოდ 19 წლისა იყო. მთელს საფრანგეთში იმაზე ახალგაზრდას არავის არ მიუღია „საპატიო ლეგიონის“ ჯვარი. სწავლის დამთავრების შემდეგ ბიურდო ფილოსოფიის პროფესორად დანიშნეს ქალაქს ნანსიში. აქ ბიურდო მუყაითად და დაუღალავად შრომობდა. სხვათა შორის ამ დროს შოპენგაუერის თხზულებანი გადასთარგმნა ფრანგულს ენაზედ. საპოლიტიკო ასპარეზზედ ბიურდო ცოტა უფრო გვიან გამოვიდა, გამბეტას მინისტრობის დროს, და პირველადვე სწავლა-განათლების მინისტრის პოლ ბერის უფროს მდივნად იქმნა დანიშნული. 1885 წლის შემდეგ ორჯელ ქალაქ ლიონის დეპუტატად იქმნა ამორჩეული საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში. ორჯელვე ბიურდოს ამორჩევა ლიონელებისაგან იმ გვარი სამაგალითო და არა ჩვეულებრივი იყო, რომ ცხადად გვიჩვენებს, თუ რა პატივისცემა და სიყვარული ჰქონიათ ლიონელებს და განსაკუთრებით ლიონის სტუდენტებს ბ-ნ ბიურდოსი. ბიურდოს შეძლება არა ჰქონდა და თავისის გარჯით ინახავდა ოჯახსა. ამიტომ არ შეეძლო ის ხარჯი გაეწია, რომელიც ისე საჭიროა ყველა დეპუტატად ამოსარჩევ კანდიდატისათვის. ფული საჭიროა აფიშების დასაბეჭდად და დასატარებლად, ხალხის ყრილობათათვის სახლის დასაქირავებლად, თითონ კანდიდატისა და იმის აგენტების წასვლა-წამოსვლისთვის და სხვ. ყველა ეს ხარჯი და შრომა ლიონის სტუდენტებმა იკისრეს ბიურდოს ამოსარჩევად. სტუდენტები თითონ ჰბეჭდავდნენ, დაჰქონდათ და აკრავდნენ ქუჩაზე აფიშებს, ჰბეჭდავდნენ გაზეთებში განცხადებებს, აგროვებდნენ ხალხსა და ურჩევდნენ ბიურდოს ამორჩევას... ერთის სიტყვით, არავითარს შრომას და საშუალებას არა ჰზოგავდნენ ბიურდოს ამორჩევისთვის. პალატაში ბიურდომ, თავის ნიჭისა, მჭევრმეტყველებისა და სამაგალითო შრომის-მოყვარეობის წყალობით ძლიერ მაღლე დაიჭირა საპატიო და თვალ-საჩინო ადგილი. 1887 წელს ერთი სასაცილო ამბავიც შეემთხვა ბიურდოს: ათის საათის განმავლობაში პარიჟელებს ეგონათ, რომ ბიურდო სწავლა-განათლების მინისტრად ამოირჩიესო. აი როგორ მოხდა ეს ამბავი. ახალის მინისტრის ამორჩევის დღეს მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტს გობლესთან რამდენიმე გაზეთის მოამბე მიეჭრა კაბინეტში და ეკითხებოდნენ, ვინ იქნება ამორჩეული სწავლა-განათლების მინისტრადაო. გობლე იმ დროს ბიურდოს მოხსენებას კითხულობდა სწავლა-განათლების შესახებ და ამ მოხსენების ავტორი, ბიურდო, დაასახელა; ის-კი დაავიწყდა გობლეს, რომ მინისტრად უკვე სხვა იყო დანიშნული და არა ბიურდო. გაზეთებმა მაშინვე მთელს საფრანგეთში მოჰფინეს ბიურდოს სწავლა-განათლების მინისტრად დანიშვნის ამბავი. მხოლოდ ათის საათის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ამბავი ტყუილი ყოფილიყო. ამ ჟამად ბიურდოს აქვს მინდობილი მძიმე ტვირთი—პარლამენტში სახელმწიფო ხარჯთა აღრიცხვის მოხსენება და ორჯელ ამ უკანასკნელს წლებში მშვენიერადაც აასრულა ეს მოვალეობა. წლეულს კიდევ [illegible] „სახელმწიფო ხარჯთა აღრიცხვის მოხსენება მიანდეს ბიურდოს. ამ თანამდებობას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთში და თითქმის ყველა მინისტრს უწინ ეს თანამდებობა სჭერია. ეხლანდელი მინისტრები: ჟულ როში, რიბო, გიუო, რუვიე—ყველა ამ თანამდებობას ასრულებდა და, ეჭვი არ არის, რომ ბიურდოც დღეს თუ ხვალ მინისტრად იქმნება ამორჩეული.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

გაზეთ „კავკაზ“-ში იყო დაწერილი, რომ ვითომ თიღვის ტაძარი განაახლეს აზნაურთა და გლეხთა და საზოგადოდ თიღვის ხეობამ და მისი კურთხევის დღეც არის დანიშნული 17 ღვინობის თვეს,“ მაგრამ ეს ცნობა ასე უნდა გასწორდეს: თიღვის ტაძრისათვის აზნაურთ გროში შემწეობაც არა აღმოუჩენიათ-რა და გლეხთა შორისაც მხოლოდ სოფელს თიღვაში მცხოვრებელთ გლეხთ, სულ სამოციოდე კომლმან, გამოიტანეს სულზედ ხუთ ხუთი მანეთი. რაც-კი შეწირულობა მოგვივიდა, სულ იყო სხვა-და-სხვა ადგილებიდგან რუსეთის იმპერიისა და ამასთანავე რამდენმამე თავად ამირეჯიბთაგან მოგვცეს ჯეროვანი შემწეობა ფულითა. რადგანაც თიღვის ტაძრისთვის სრული კურთხევა არ არის საჭირო მცირე, კურთხევაც იქმნა გადადებული კომიტეტის მიერ გიორგობისთვის ათისათვის და იკურთხება სახსოვრად იმ დღისა, როდესაც ხელმწიფე იმპერატორი და მისი ავგუსტოესი სახლობა კეთილად გადარჩა განსაცდელსა. მიზეზი-კი კურთხევის გადადებისა გახლავთ კანკელის ვერ მისწრება ხელოსანთა მიერ თავის დროზედ.

წევრი კომიტეტისა, თიღვის ტაძრის მღვდელი.

ალექსანდრე ზედგენიძე

ოქტომბრის 15-ს.

### II

მე განვიზრახე, გამემართო საჩხერეში ერთ-კლასიანი დედათა სასწავლებელი. ამ საგნისათვის კიდევაც შევუდგე საშუალების მოპოვებას.—28-ს წარსულს აგვისტოს გავმართე საჩხერეში „პიკნიკი“, რომლიდგანაც წმინდა შემოსავალი, ყველაფერს ხარჯს გარდა, დარჩა 48 მანეთი.

დიდს მადლობას გწირავ ყველას, რომელიც ამ საქმეში დამეხმარა და რაიმე შემწეობა აღმომიჩინა.

სრული იმედი მაქვს, რომ საზოგადოების შემწეობით ამ დაწყებულს საქმეს მალე დავაგვირგვინებ, რადგანაც თვით საზოგადოება გრძნობს, თუ რამდენად საჭიროა ამისთანა სკოლა აქ, საჩხერეში, რომელიც იმდენად მივარდნილი და ქალაქებს მოშორებულია, რომ მეტად ცოტასათვის არის შესაძლო,—აქედგან სადმე წაიყვანოს თავისი ქალი და ასწავლოს რამე. ჩვენი საზოგადოება, დარწმუნებული ვარ, არასოდეს არ დაზოგავს თავისს თანაგრძნობას და წვლილს ამისთანა კეთილის საქმისათვის.

კნეინა ელისაბედ წერეთლისა

დ. საჩხერე
13 ოქტომბერს

## გამოსადეგი ცნობანი

როგორ უნდა შეეტყოს ძროხას, რა ხნისაა. აქამდე ძროხასაც კბილს უსინჯავდნენ ხნის შესატყობად. ეს ღონისძიება ხშირად შეაცდენს კაცსა. უტყუარი მანიშნებელი ამ შემთხვევაში რქებია თურმე. ჟურნალი „Сельское Хозяйство“ ამბობს, რომ ძროხას სამს წლამდე რქები სრულიად უროკო აქვს, არსად არ არის არც ჩადრეკილი არც ამოდრეკილი, თითქო გაშალაშინებულიაო. მეოთხე წელს თვითეულს რქას გამოაჩნდება ხოლმე რგოლსავით სარტყელი, რომელიც ჩადრეკით გამოისახება რქის გარეშემო და რომელიც თვალითაც სჩანს და ხელშეხებითაც ემცნევა. მას შემდეგ რამდენი წელიწადიც გავა, იმდენი ამისთანა სარტყელი ემატება, ასე რომ თუ რქებზედ ორი ამისთანა სარტყელია, ძროხა ხუთის წლისა იქნება, თუ სამი—ექვსისა და მებრე სხვა. ამ სახით რქის სარტყელთ რიცხვს სამი წელიწადი რომ დაემატოს, ძროხის ხნიერობა უტყუარად გამოიცნობა. მართალია, მატყუარა დალალებმა იციან, რომ მინის ნატეხით აფხეკენ ხოლმე რქებისაგან ამისთანა სარტყელს და მერე გაშალაშინებენ ხის ნაჭერის წასმითა, მაგრამ ნიშანი სრულად ვერ გადადის ამ გზით, ასე რომ ხელით მაინც შეეტყობა სარტყელის ჩადრეკილობა და ტყუილი ამ შემთხვევაში ადვილად გამომჟღავნდება ხოლმე.

## დეპეშა

18 ოქტომბერს

**პეტერბურგი.** გუშინ, მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის სახლობითურთ, სასწაულებრივ ხიფათისაგან გადარჩენის დღის სამის წლის თავზე, ეკკლესიებში გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისები. განსაკუთრებით დიდის ამბით გადახდილ იქმნა წირვა პარაკლისითურთ ისააკის ტაძარში, სადაც დაესწრნენ დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, მინისტრები, უმაღლესის კარის კაცნი და გენერლობა.

ამერიკელებს, რომელნიც ყოველთვის თანაუგრძნობდნენ რუსეთს, თავიანთს შორის ხელის მოწერა გაუმართავთ დამშეულთა სასარგებლოდ. უკვე 100,000 კაცზე მეტს მოუწერია ხელი. აპირობენ შეისყიდონ ხორბლეულობა, განსაკუთრებით-კი ჭვავი, და საგანგებო გემებით გამოგზავნონ რუსეთში. როგორც ისმის, საფრანგეთშიაც იწყებენ ხელის მოწერის გამართვას დამშეულ რუსთა სასარგებლოდ.

**ლონდონი.** „Standard“-ი ურჩევს, რომ ლონდონში თანხა დააარსონ რუსეთის დამშეულ ხალხის დასახმარებლად. ამბობენ, ამ თანხას ზედამხედველად განსაკუთრებული კომიტეტი ეყოლება, რომლის პრეზიდენტად დიდი მთავრინა მარიამ ალექსანდრეს ასული ედინბურგის ჰერცოგინია იქნებაო.

**ბრესტი.** ფრეგატ „დიმიტრი დონსკოი“-ს კომანდირი სადარბაზოდ იყო ადგილობრივს წარჩინებულებთან. ლიცეის მოსწავლეთა დეპუტაციამ ბრინჯაოს სურათი მიართვა შემდეგის წარწერით: „quand voudra“. ეს ქანდაკება სურათია ფრანგ აფიცრისა, რომელსაც ერთს ხელში დროშა უჭირავს და მეორეში ხიშტი. ამასთანავე ლიცეის ერთმა მოწაფემ სიტყვა წარმოსთქვა რუსეთისა და საფრანგეთის კავშირის შესახებ.

19 ოქტომბერი

**კოპენჰაგენი.** 18 ოქტომბერს, როგორც უკანასკნელის განკარგულებიდგან სჩანს, იმპერატორის სახლობა ხვალ ფრედერიციაზე გაემგზავრება, სადაც ხმელეთით სამოგზაუროდ გაგზავნილ იქმნა საიმპერატორო მატარებელი.

**ბერლინი.** საბერძნეთის მეფე-დედოფალი დღეს ლიუბეკში მივიდა,

საიდგანაც მაშინვე მიუნხენისკენ გაემგზავრნენ.

**პარიჟი.** ბრესტიდგან იუწყებიან გუშინდელის დღის თარიღით, რომ ადმირალ ჟერვესაგან კალათებით ყვავილები მიიღეს რუსეთის გემთა კომანდირებმაო. რუსს მესაჭეებს, როცა ნაპირზე გამოდიოდნენ, დიდს ოკაციებს უმართავდნენ. რუსეთის და საფრანგეთის ესკადრას აფიცერთა პატივსაცემლად გამართულმა მეჯლისმა მშვენიერად ჩაიარა. აფიცრებს ნავთ-სადგურთან მიეგებნენ წარმომადგენელნი საზოგადოების მმართველობისა და ამასთანავე ხალხიც ოვაციებით დაუხვდა. 7 საათზე დაწყებული მეჯლისი 1 საათზე გათავდა. ყოველი რუსი აფიცერი ფრანგ-აფიცერისა და საზოგადოების მმართველობის წევრის შუაში იჯდა. სიტყვები წარმოსთქვეს: ქალაქის თავმა, ადმირალმა ჟერვემ, ელჩმა კერრასმა და იმისმა შვილმა. ქალაქის თავი მიესალმა კრონშტადტის სტუმრებს, აღნიშნა ის თანაგრძნობა, რომელიც აკავშირებს საფრანგეთისა და რუსეთის და დასძინა, იმედი მაქვს, რუსეთის გემებს უკეთესად დაუხვდებიან, თუ იმ დროს ესტუმრებიან ბრესტს, როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტი იქ იქნებაო. რუსეთის გემების კომანდირებმა სიტყვები წარმოსთქვეს და მადლობა გარდაუხადეს. ადმირალმა ჟერვემ სთქვა, ბედნიერი ვარ, რომ კვლავ შემთხვევა მომეცა, მადლობა გადაგიხადოთ რუსეთში ჩვენის დახვედრისათვისაო. ელჩმა სადღეგრძელო წარმოსთქვა კარნოსი და საფრანგეთისა; ელჩის შვილმა სიტყვაში ნავროს ბრძოლაც მოიხსენია. ამავე დროს ფრანგმა უნტერ-აფიცერმა „პუნში“ გამართეს რუს უნტერ-აფიცერთა პატივსაცემლად.

პეტერბურგის ბირჟა, 18 ოქტომბ.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 70 | 7, 74 | — ,, |
| ჰამოენის კუპონები . | 154 | 155 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 236½ |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 216 |
| —მესამისა . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . . . , . | — ,, | 207 | 208½ |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე**

ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის სააგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც მიუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.


# განცხადებანი

КРАСКА для ВОЛОСЪ
В. ГЕНА
ВЪ ВѢНѢ
изъ
ГРЕЦКИХЪ
ОРѢХОВЪ.
ОХРАНИТЕЛЬНАЯ МАРКА.
БЕЗВРЕДНОЕ СРЕДСТВО ДЛЯ БЫСТРАГО ОКРАШИВАНІЯ ВОЛОСЪ и БОРОДЫ въ ЧЕРНЫЙ РУСЫЙ, ТЕМНО- и СВѢТЛО-КАШТАНОВЫЙ ЦВѢТЪ.
ЦѢНА ЗА ФЛАКОНЪ съ ПЕРЕСЫЛКОЙ 3 Р.
ГЛАВН. СКЛАДЪ ДЛЯ РОССІИ В. АУРИХЪ въ С. ПЕТЕРБУРГѢ КОЛОКОЛЬНАЯ 18.

(10—1)

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი . . | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. . . . . . | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. . . . . . | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა . . . . . . | „ | 25 |
| იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი**, ისტორიული პოემა აკაკისა . . | 1 | „ |

„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო . . . . | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. . . | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია . . . . . . | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა. | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. . . . | „ | 30 |
| სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულაქველიძისა. | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკონთელისა. . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელის . . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . | 3 | „ |

მომავალ **1892** წლის

# კედლის ქართული კალენდარი

დაიბეჭდა და ისყიდება „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში და „ამხანაგობის“ ყველა აგენტთან, ფასი 40 კაპ.

უმორჩილესად ვთხოვთ კედლის კალენდრის მყიდველთ, დროით მოითხოვონ, რომ, თუ საჭირო შეიქმნა, მეორე გამოცემა მოვასწროთ და შარშანდელსავით ბევრნი არ დარჩნენ დაუკმაყოფილებელნი.

აქვე ისყიდება

## სახალხო კალენდარი

შედგენილი ვ. გუნიას მიერ, ფასი 10 კაპ.

იბეჭდება და ამ თთვის დამლევს გამოვა გასასყიდად ვ. გუნის მიერ შედგენილი ვრცელი კალენდარი, რომელშიაც ჩართულია პეტერბურღში მომზადებული სურათები ჩვენის მწერლებისა და სხვ.

საწყობი ამ კალენდრისაც:

„ქართველთა ამხანაგობის“ მაღაზიაა. (3—2)

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე მოვიყვანე საზღვარ გარეთიდან მღებავი მოხელე და გავმართე ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ, წყალთა-შუა, ძმ. ვოლოხის სახლში

## სამღებრო და ლაქის ამოსაყვანი ქარხანა

და ვიღებ შესაღებად სხვა-და-სხვა ფერ აბრეშუმეულს: პლიუშს, ხავერდის, შალის და ბამბის ქსოვილებს, ყოველ გვარს შეკერილს ქალის ტანისამოსს; კაცის სამხედრო სამოქალაქო ტანისამოს, ჩოხებს, ჩულქებს, ლენტებს, არშიებს, სირაქლემას ფრთებს და სხვებს. აგრეთვე ვიღებ ტანისამოსსა და ყოველ გვარს დალაქიანებულ მატერიებს ლაქის ამოსაყვანად.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზე, აკოფოვის შენობაში და ფოსტით მომმართონ შეკვეთილობით და ფერიც გვაცნობონ ნიმუშით.

(28—95—27) ქარხანის პატრონი არტემ ანჯაფარიძე

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ იუწყება, რომ წელს, 14 დეკემბერს, დილის 12 საათზედ, გამგეობის სადგომში დანიშნულია ვაჭრობა ვერისა და მნაცაკანის ხიდის იჯარით გაცემისათვის 1892 წლის პირველ იანვრიდამ 1894 წლის პირველ იანვრამდე. გამგეობის პირობის შეტყობა შეიძლება გამგეობისავე კანცელარიაში დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდე. (6—3)

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

## დანია

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—33)

## ისყიდება

ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიაში,

მ. ჯანაშვილის მიერ

დასტამბული წიგნები:

ა) „ალვადგინე“ ანუ „სამი ისტორიული ხრონიკისა “ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო, დამატებით მე IX-X საუკ. „სამეცნიერო ქრისტომატიიდამ“ ამოღებულ „სამკურნალო ტრაქტატისა“ და „სასწავლო წიგნისა,“

ბ) მწერლობა მე IX-X საუკუნისა, რომელშიაც დაბეჭდილია იგივ „სამკურნალო ტრაქტატი“ და „სასწავლო წიგნი“ გამომცემის წინასიტყვაობითურთ

გ) საუნჯე მე X საუკუნისა, ფასი 20 კაპ.

P. S. პირველი წიგნი დაიბეჭდა 300 ცალად, და ცალი ღირს 30 კაპ., ხოლო საუნჯითურთ 40 კაპ., მეორე წიგნი დაისტამბა 100 ცალად, და ცალი ღირს 40 კაპ., საუნჯითურთ აგრეთვე 40 კაპ.—შემოსული ფული გადაედება ფონდად მე IX-X საუკუნის მწერლობის ნიმუშების საბეჭდავად.


Дозв. ценз. Тифлисъ, 19-го Октября 1891 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.